საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი - შპს „ჭავჭავაძის 64ბ“-ს (ს/ნ 404890891)
მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი - შპს „ჭავჭავაძის 64ბ“ (ს/ნ 404890891) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 5 აგვისტოს №189/04 ბრძანებით დამტკიცებული „პირების მიმართ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 7 000 (შვიდი ათასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული სანქცია გამოიცა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, ასევე, „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის.